



მემორანდუმი

საქართველოში ცილისწამების მარეგულირებელი სისხლისა და
სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების შესახებ

შემუშავებული

“მე-19 მუხლის”

მიერ

ამრის თავისუფალი გამოხატვის გლობალური კამპანია

2004 წლის თებერვალი

მედიის თავისუფლების სფეროში ევროპის უსაფრთხოებისა და
თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლის დაკვეთით



1. შესავალი

“მე-19 მუხლა” მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის თხოვნის საფუძველზე კომენტარი გააკეთა საქართველოს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსებში არსებული ცილისწამების შესახებ სისხლის და სამოქალაქო სამართლებრივი, მათ შორის უარყოფისა და პასუხის გაცემის უფლებებთან დაკავშირებული, დებულებების თაობაზე. აღნიშნულ დებულებათა რეფორმირების მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. კერძოდ, ცილისწამების მარეგულირებელ მთელ რიგ დებულებებს შეიცავს კანონპროექტი სიგვვისა და პრესის თავისუფლების შესახებ, რომელიც თავისუფლების ინსტიტუტმა მოამბადა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და აღმინისტრაციული რეფორმის კომიტეტთან თანამშრომლობით. ეს კანონპროექტი პარლამენტმა 1999 წელს პირველი მოსმენით მიიღო. ჩვენი კომენტარები ეფუძნება ცილისწამების შესახებ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსებში არსებული დებულებების არაოფიციალურ ინგლისურ თარგმანს¹.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცილისწამებას საკმაოდ მოკლე და ზოგადი დებულებებით არეგულირებს. ამასთან იგი მოიცავს “პირის” სახიფათოდ მრავლისმოცველ განსაზღვრებას, რაც სახელმწიფო ორგანოებს ანიჭებს უფლებას, ცილისწამებისთვის მიმართონ სასამართლოს. პრინციპული სირთულე, რაც ცილისწამების რეგულირების ამჟამად მოქმედ რეექიმს უკავშირდება, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვერ ქმნის სათანადო საშუალებებს, რაც უბრუნველყოფს აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვას. გამოსავალს, რომელზეც ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ, წარმოადგენს ცილისწამების შესახებ დებულებების ისე გაფართოება, რომ შეიქმნას აღნიშნული საშუალებები.

რაც შეეხება ცილისწამების შესახებ ერთადერთ სისხლის სამართლებრივ დებულებას, იგი შედარებით უფრო დეტალურად და ზუსტად არის ჩამოყალიბებული. თუმცადა “მე-19 მუხლი” იმ პოზიციას იმიარებს, რომ სისხლის სამართლებრივი ნებისმიერი კანონი, რაც ცილისწამებასთან არის დაკავშირებული, არღვევს ადამიანის უფლებას აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე და, აქედან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი თვალისწინებს მიერებულ ბიანთან ყოვლად შეუსაბამო სასჯელებს, რითაც დარღვეულია პროპრეციულობის საერთაშორისო მოთხოვნები. თუკი რეკომენდაცია ამ კანონის გაუქმდების შესახებ არ იქნება გათვალისწინებული, როგორც მინიმუმ, ჩვენი რჩევა იქნება, იმ სახის კანონი იქნეს მიღებული, რომელიც გამორიცხავს ცილისწამებისთვის მძიმე სასჯელის დაწესებას.

მე-2 პარაგრაფში მოკლედ არის აღწერილი აზრის გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები. მე-3 და მე-4 პარაგრაფებში საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში გაანალიზებულია საქართველოში მოქმედი ცილისწამების რეგულირების სისხლისა და სამოქალაქო სამართლებრივი რეექიმები. ჩვენს ანალიზში გამოყენებულია ცილისწამების სფეროში გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს იურისპრუდენცია. აღნიშნული საერთაშორისო, ისევე როგორც ამ სფეროში არსებული შედარებითი, სტანდარტები შემოკლებული სახით გადმოიცა “მე-19 მუხლის” პუბლიკაციაში “ცილისწამება: აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და რეპუტაციის დაცვის პრინციპები”², რომელთაც ჩვენ ხმირად შევეხებით. ამ პრინციპებმა დიდი აღიარება მოიპოვა მათ შორის აბრის გამოხატვის თავისუფლების სფეროში სამი ოფიციალური მანდატისგანაც. კერძოდ, ესენი არიან გაეროს სპეციალური მომხსენებელი აზრისა და გამოხატვის თავისუფლებაზე, ეუთოს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში და აფრიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებელი აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე³.

¹ „მე-19 მუხლი“ არ იდებს პასუხისმგებლობას თარგმანის სიტუაციასა და იმ კომენტარებშე, რომლებიც ეფუძნება არასწორ და შეცდომაში შემყვან თარგმანს.

² ლონდონი: “მე-19 მუხლი”, 2000.

³ იხ. მათი საერთო დეკლარაცია, მიღებული 2000 წლის 24 ნოემბერს.

2. საერთაშორისო სტანდარტები

ამრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს. განსაკუთრებით იმით, რომ ფუნდამენტურ როლს ასრულებს დემოკრატის განმტკიცებაში. ამრის გამოხატვის უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის მე-19 მუხლით⁴:

ყოველ ადამიანს აქვს ამრის ქონისა და მისი გამოხატვის თავისუფლება; ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, იქონის საკუთარი ამრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეკსი ნებისმიერი საშუალებით, სახელმწიფო სამდგრების მიუხედავად.

საქართველოს მიერ 1994 წელს რატიფიცირებული "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი"⁵ აკონკრეტებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციაში მოცემულ მრავალ უფლებას და აკისრებს შეთანხმების წევრ სახელმწიფოებს, პატივი სცენ მის დებულებებს. აღნიშნული შეთანხმების მე-19 მუხლით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლის მსგავსად, გარანტირებულია ადამიანის უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე.

გამოხატვის თავისუფლება ასევე დაცულია ადამიანის უფლებათა სამი რეგიონული სისტემით: საქართველოს მიერ 1999 წელს რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა კონვენციის⁶ მე-10, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის⁷ მე-13 და ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის⁸ მე-9 მუხლებით.

გამოხატვის თავისუფლება შეეხება გამოხატვის ყველა ფორმას. ადამიანის უფლებათა ეკროპულ სასამართლოს არაერთხელ განუცხადებია, რომ:

გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს [დემოკრატიული] საბოგადოების ჩამოყალიბების, მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარებისათვის... იგი შეეხება როგორც უწყინარ ან ნეიტრალურად შეფასებულ, ისე სახელმწიფოსა და მოსახლეობის შეურაცხმყოფელ, შემაწუხებელ და შოკისმომგვრელ ინფორმაციასა და იდეკსის. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანციობისა და შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საბოგადოება⁹.

სხვადასხვა ინტერესის, მათ შორის რეპუტაციის, დაცვის მიზნით საერთაშორისო სამართლით დაშვებულია გარკვეული შებრულებების დაწესება გამოხატვის თავისუფლებაზე. ამ შებრულებების პარამეტრები განსაბლვრულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების მე-19 და ევროპული კონვენციის მე-10 მუხლებით. ამ უკანასკნელის თანახმად:

ამ უფლებათა განხორციელება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ მოთხოვნებს, პირობებს, შეზღუდვებსა თუ სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საბოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის, საბოგადოებრივი უსაფრთხოების, ასევე საბოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სხვა დანაშაულის თავიდან აცილების, ადამიანის ჯანმრთელობისა და ზნეობის, სხვათა უფლებებისა და

⁴ გაერთს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, მიღებული 1948 წლის 10 დეკემბერს.

⁵ გაერთს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, მიღებული 1966 წლის 16 დეკემბერს. ძალაშია 1976 წლის 23 მარტიდან.

⁶ მიღებულ იქნა 1950 წლის 4 ნოემბერს, ძალაშია 1953 წლის 3 სექტემბრიდან.

⁷ მიღებულ იქნა 1969 წლის 22 ნოემბერს, ძალაშია 1978 წლის 18 ივნისიდან.

⁸ მიღებულ იქნა 1981 წლის 26 ივნისს, ძალაშია 1986 წლის 21 ოქტომბრიდან.

⁹ *Handyside v. United Kingdom*, 1976 წლის 7 დეკემბერი. აღნიშნული გიპის განცხადებები საკმაოდ ხშირად გამოიყენება მსოფლიოს მასშტაბით სასამართლო ორგანოების იურისპრუდენციაში.

რეპუტაციის დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის გამჯდავნების თავიდან აცილების ან სასამართლო ხელისუფლებისა და მისი მიუკერძოებლობის შენარჩუნების მიზნით.

ამრის გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შებღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს სამი პირობის შემცველ ტესტს. ამ ტესტის თანახმად, რომელიც აღიარებულია როგორც ადამიანის უფლებათა კომიტეტის¹⁰, ისე აღამიანის უფლებათა უზრუნველი სასამართლოს¹¹ მიერ, ნებისმიერი შებღუდვა: (1) კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული; (2) მიზნად უნდა ისახავდეს ლეგიტიმური ინფერესის, მათ შორის რეპუტაციის, დაცვას და (3) აუცილებელი უნდა იყოს ამ ინფერესის დაცვის უზრუნველსაყოფად. იმისათვის, რომ შებღუდვის დაწესება აუცილებლობად ჩაითვალოს, იგი ფრთხილად უნდა იყოს შემუშავებული, რათა, რაც შეიძლება, ნაკლებად ბლუდავდეს ამრის გამოხატვის თავისუფლებას, არ უნდა იყოს უსამართლო და არ უნდა ეფუძნებოდეს ირაციონალურ მოსამრებებს. ბუნდოვანი და ბოგადი ხსიათის შებღუდვები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი აკმაყოფილებს კანონით განსაბღვრულობის კრიტერიუმს, ყოვლად მიუღებელია, რადგან ძალგე მკაცრად განსაბღვრული ლეგიტიმური ინფერესის ფარგლებს სცილდება.

3. ცილისწამების რეგულირების სამოქალაქო სამართლებრივი რეგიმი

ცილისწამების რეგულირების სამოქალაქო სამართლებრივ რეგიმს აწესებს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი. ეს რეგიმი ორი ნაწილისგან შედგება: ერთი ითვალისწინებს სასამართლოში საქმის წარმოებას იმ ზიანისთვის, რაც ცილისწამებით არის მიყენებული, ხოლო მეორე განსაბღვრავს ადამიანის უფლებას პასუხის გაცემასა და ცილისმწამებლური განცხადების უარყოფაზე.

3.1 ცილისწამების სამოქალაქო სამართლებრივი წარმოება სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად:

ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის (პატივის, დირქებისა და პირადი ცხოვრების ხელშეწებლობის) დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს გიანის (გარალის) ანაბდაურებაც. გიანის ანაბდაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამისილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) გიანის ანაბდაურებაც. მორალური გიანის ანაბდაურება შეიძლება ქონებრივი გიანის ანაბდაურებისგან დამოუკიდებლად.

ჩვენი წყაროების თანახმად, მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი უნდა განვიხილოთ ამავე მუხლის მე-2 პუნქტთან კავშირში, რომელიც უზრუნველყოფს ცილისმწამებლური განცხადების უფლებას, თუკი მისი ავტორი განცხადების სისტორეს ვერ დაამტკიცებს.

ცნება “ბრალეული ქმედება” არ არის განსაბღვრული სამოქალაქო კოდექსში, რაც მისი ძალგე ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, სასამართლომ შესაძლოა ”ბრალეული ქმედებად” მიიჩნიოს ისეთი ქმედებაც, რომელიც გაუფრთხილებლობით არის ჩადენილი. ამიტომ ჩვენ რეკომენდაციას ვიძლევით, რომ ეს ცნება უფრო დეტალურად და ნათლად განსაბღვროს კანონმდებლობაში.

მიუხედავად ბეროთქულისა, ჩვენი წყაროების ცნობით, სისხლის სამართალში ტერმინი “ბრალეული ქმედება” განმარტებულია როგორც ქმედება, ჩადენილი მნიშვნელოვანი გიანის მიყენების განმრახვით. სამოქალაქო სასამართლო პრაქტიკაში კი, როგორც წესი, “ბრალეული ქმედება” მოიცავს ისეთ ქმედებასაც, რომლის ავტორსაც გაცნობიერებული ჰქონდა, რომ შეიძლება დამდგარიყო მართლსაწინააღმდეგო შედეგი, თუმცადა ინდიფერენტული დამოკიდებულება გააჩნდა მის მიმართ. რაც შეეხება ცილისწამების სფეროში ბრალეული ქმედების დეფინიციას, ჩვენი აზრით, ასეთად უნდა ჩაითვალოს პირის

¹⁰ მაგალითად, *Laptsevich v. Belarus*, 2000 წლის 20 მარტი.

¹¹ მაგალითად, *Goodwin v. United Kingdom*, 1996 წლის 27 მარტი.

მიერ გაკეთებული ან გამოქვეყნებული განცხადება, რომელიც სხვისი რეპუტაციისათვის განცხადებას ისახავდა მიზნად ან თუ განცხადებული პირი ითვალისწინებდა განცხადებას, მაგრამ ამის მიმართ ინდეფერენციული დამოკიდებულება გამოიჩინა. ცოტა სადაცოა, რამდენად მოითხოვს ბრალის ცნება აღნიშნულ კონტექსტში იმის ცოდნას, რომ განცხადება იყო მცდარი. ამ საკითხს ჩვენ მე-3 პარაგრაფში განვიხილავთ.

მრავალ ქვეყანაში მოქმედ ცილისწამების კანონებთან შედარებით მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი საკმაოდ მოკლე და ბოგადი ხასიათისაა. შედეგად მიიღება ისეთი რეჟიმი, რომელიც დაცვის აუცილებელი ელემენტების ნაკლებობას განიცდის და მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა განსაკუთრებით თანამდებობის პირთა თუ სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან. ამ დებულების ნაკლოვანებებს მიეკუთვნება შემდეგი:

- 1) იყენებს “პირის” იმდენად ფართო დეფინიციას, რომ ფაქტობრივად ქმნის სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან ცილისწამების თაობაზე სასამართლოში პროცესის ინიცირების საფუძველს;
- 2) ვერ უბრუნველყოფს ფაქტის და მოსამრების ერთმანეთისგან გამჯვნას და, შესაბამისად, არ გამორიცხავს მოსამრების გამოხატვისათვის სასამართლოში ცილისწამების თაობაზე საქმის წარმოების დაწყების შესაძლებლობას.;
- 3) მტკიცების ტვირთს აკისრებს მოპასუხეს იმ შემთხვევაშიც, როცა განცხადება საბოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხს შეეხება;
- 4) პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს განსაზღვრულ კონტექსტში, მათ შორის საკანონმდებლო და სასამართლო პროცედურების განმავლობაში გაკეთებულ ანცხადებებს;
- 5) ვერ იცავს პასუხისმგებლობისგან ინფორმაციის მაფარებელთა განსაზღვრულ ტიპებს, მათ შორის ინგერნეტ-როვაიდერებს;
- 6) ვერ უბრუნველყოფს “დასაბუთებული პუბლიკაციის” დაცვას;
- 7) ცილისწამების შესახებ სამოქალაქო სამართლებრივისაქმეების წარმოების დროს არ განსაზღვრავს მატერიალური კომპენსაციის ბლოკულ ოდენობას;
- 8) არ აწესებს ცილისწამების საქმეებზე სასამართლოსთვის მიმართვის ხანდაგმულობის ვადას.

შემდეგ პარაგრაფებში ჩვენ განვიხილავთ მე-18 მუხლის მე-6 პუნქტს და იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც მას შეეხება. ასევე გავაკეთებთ რეკომენდაციებს აღნიშნული მუხლის შეცვლის თაობაზე.

3.1.ა. “პირის” შედმეტად ფართო დეფინიცია

მე-18 მუხლი ბოგადად ყველა პირს შეეხება. სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო იურიდიულ პირს წარმოადგენს. 24-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო, კერძო სამართლის იურიდიული პირის მსგავსად, მონაწილეობს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში. შემდეგ ამას მოსდევს ის, რომ სახელმწიფოს უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები და ა.შ.). მე-18 მუხლის თანახმად კი მათ ენიჭებათ ცილისწამების საქმეზე სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.

ცილისწამების თაობაზე სასამართლოსთვის მიმართვის უფლების გაფართოება ამ უფლების სახელმწიფოსთვის მინიჭების გრით საკმაოდ პრობლემატური საკითხია. დემოკრატიისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლების დია კრიტიკის წახალისება და ხელშეწყობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერებაც, რომ თანამდებობის პირთა რეპუტაცია შეზღუდულია და ყველა შემთხვევაში საჯარო სასიათისაა. საბოლოო ჯამში თანამდებობის პირებს საკმარისი საშუალებები აქვთ თავის დასაცავად. აღნიშნულ მიზეზთა გამო, მე-19 მუხლის მოსამრებით, სამთავრობო ორგანოებს ერთიანად უნდა აეკრძალოთ

ცილისწამების საქმეების სასამართლოში ინიცირების უფლება¹². მრავალ ქვეყანაში უზენაესმა სასამართლოებმა სასამართლოში საქმის ინიცირების უფლება შეუტლებელს როგორც სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის არჩეულ ორგანოებს, ისე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ კორპორაციებსა და თვით პოლიტიკურ პარტიებსაც კა¹³. საქართველომაც აღნიშნული გზა უნდა აირჩიოს.

რეკომენდაცია:

- მე-18 მუხლით ყველა სახის სახელმწიფო ორგანოს, მათ შორის ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებში შემავალს, უნდა აეკრძალოს ცილისწამებაზე სასამართლოში ჩივილის უფლება.

3.1.ბ. ამრის გამოხატვის დაცვა

მე-18 მუხლი არ ათავისუფლებს პასუხიმგებლობისგან მოსამართების შემცველ განცხადებას. ამასთან დაკავშირებით ორი ძირითადი პრობლემა წარმოიქმნება. პირველი (უფრო დეტალურად იხ. შემდეგი პარაგრაფი): მოპასუხეს, იმისათვის რომ თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, უწევს გამოხატული მოსამართების სისტორის დამტკიცება. რამდენადაც მოსამართების სისტორის მტკიცება ფაქტობრივად შეუძლებელია, ამით იღია ადამიანის უფლება ამრის გამოხატვის თავისუფლებაზე. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განცხადა, “შეფასებითი მსჯელობის სისტორის დამტკიცების მოთხოვნა... თავისთავად ხელყოფს ამრის ქონის თავისუფლებას, რაც ამრის გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტურ ნაწილს წარმოადგენს¹⁴.”

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა ის არის, რომ კანონი ვერ უზრუნველყოფს მოსამართებათა სათანადო დაცვის, რაც საერთაშორისო სამართლით არის გარანტირებული. “მე-19 მუხლი” იმ პოზიციას იმიარებს, რომ ამრის გამოხატვა აბსოლუტურ დაცვით უნდა სარგებლობდეს¹⁵. ეს პოზიცია ერთი მხრივ განპირობებულია საერთაშორისო სამართლით, რომელიც ამრის ქონის აბსოლუტურ დაცვის უზრუნველყოფს, ხოლო მეორე მხრივ ცილისწამების შესახებ იმ დებულებათა ბოროტად გამოყენებით, რომლებიც ფაქტობრივად მოსამართებათა გამოხატვის კრიმინალიზაციას ახორციელებენ. აღსანიშნავია, რომ მოსამართება მრავალი ქვეყნის იურისპრუდენციაში აღარ არის დასჯადი, ხოლო დანარჩენი ქვეყნების პრაქტიკაშიც აღნიშნული ფენდენცია შეინიშნება. საერთოდ ფართოდ არის აღიარებული, რომ მოსამართების შემცველი განცხადება გაცილებით უფრო ძლიერ დაცვას საჭიროებს, ვიღრე ფაქტის შემცველი (მცდარი) განცხადება. ეს წესი გაზიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, რომელიც აღნიშნული ტიპის განცხადებების, მათ შორის უკელაბე მწვავე ფორმაში გამოთქმულის, უმაღლეს დაცვას უზრუნველყოფს. მე-18 მუხლი არ ითვალისწინებს ამ სტანდარტებს.

რეკომენდაცია:

- მე-18 მუხლში ნათლად უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართების შემცველი განცხადება არ შეიძლება გახდეს ცილისწამების თაობაზე საქმის წარმოების დაწყების საფუძველი.

3.1.გ. მტკიცების ტვირთი

¹² იხ. “ცილისწამება”, მესამე პრინციპი.

¹³ იხ. მაგალითისთვის Derbyshire County Council v. Times Newspaper LTD. (1993, გაერთიანებული სამეფო); Rajgopal v. State of Tamil Nadu (1994, ინდოეთი); City of Chicago v. Tribune Co. (1923, aSS); Die Spoorbond v. South African Railways (1946, სამხრეთი აფრიკა); Post and Telecommunications Cooperation v. Modus Publications (1997, ვიტბაბვე)

¹⁴ Dichand and others v. Austria, 2002 წლის 26 თებერვალი.

¹⁵ იხ. “ცილისწამება”, მეათე პრინციპი.

როგორც გემოთ იქნა აღნიშნული, მე-18 მუხლის მე – 6 პუნქტი განისაზღვრება მე – 18 მუხლის მე – 2 პუნქტით ისე, რომ მოპასუხე ყოველთვის იმარჯვებს პროცესზე, თუკი შეძლებს გაკეთებული განცხადების სისწორის დამტკიცებას. უკეთესი იქნებოდა ეს შედეგი უშადლოდ მე-6 პუნქტიც ყოფილიყო მითითებული. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ეს წესი არ ეწინააღმდეგება “მე-19 მუხლის” პრინციპებს, რომელთა თანახმადაც დაუშვებელია პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმ განცხადებისთვის, რომელიც სწორ ფაქტს შეიცავს¹⁶.

მოუხედავად ამისა, მე-18 მუხლის თანახმად ცილისწამების თაობაზე სასამართლოში სამოქალაქო საქმის წარმოების დროს მტკიცების ტვირთი ეკისრება პირს, რომელმაც გააკეთა სადაცო განცხადება. თუკი პირი ვერ შეძლებს დამტკიცოს, რომ განცხადება სიმართლეს შეეფერება, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა. საერთაშორისო და შედარებითი სტანდარტების თანახმად, აღნიშნული წესი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე საბოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს შეეხება, უსაფუძვლოდ მძიმე ტვირთს აკისრებს მედიას, რომელსაც შეიძლება ინფორმაციის კონფიდენციალური წყაროს დაცვა დასჭირდეს. ამიტომ, როგორც წესი, სასამართლოები განცხადების მცდარობის მტკიცების ტვირთს აკისრებენ მოსარჩელეს განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, რომლებიც საბოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს შეეხება¹⁷.

რეკომენდაცია:

- იქ, სადაც სადაცო განცხადება საბოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხს შეეხება, განცხადების სიმცდარის მტკიცების ტვირთი უნდა დაეკისროს მოსარჩელეს.

3.1.დ. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

ბოგადად აღიარებულია, რომ განცხადებები არ იწვევს პასუხისმგებლობას ცილისწამების კანონის საფუძველზე. ეს ტება იმ საკითხებს, რომლებიც საბოგადოებრივი ინფერენსის სფეროში შედის, რომ ხალხმა ისაუბროს თავისუფლად ისე, რომ არ ეშინოდეს პასუხისმგებლობის დაკისრების იმის გამო, რაც განაცხადა. როგორც აღმიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, ეს წესი შეეხება იმ განცხადებებს, რომლებიც გაკეთდა სასამართლოში, საკანონმდებლო ან სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოში. ობიექტური ინფორმაციის მიწოდება აღნიშნული განცხადებების შესახებ ასევე უნდა იქნეს დაცველი¹⁸.

ცილისწამების მე-11 პრინციპი მოცემულია ის განცხადები, რომლებიც აღნიშნული დაცვით სარგებლობს:

- 1) განსაზღვრული ტიპის განცხადებები არ უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობას ცილისწამების კანონის საფუძველზე. მინიმუმ მათ მიეკუთვნება:
 1. განცხადება, გაკეთებული საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის პროცესში როგორც არჩეული დეპუტატების მიერ კომიტეტება და და დებატებში, ისე იმ პირების მიერ, რომლებიც მოწმის სტატუსით იყვნენ მიწვეული კომიტეტებში ჩვენების მისაცემად;
 2. განცხადება, გაკეთებული მუნიციპალური ორგანოების საქმიანობის პროცესში ამ ორგანოთა წევრების მიერ;

¹⁶ იხ. “ცილისწამება”, მეშვიდე პრინციპის ა) პუნქტი.

¹⁷ იხ. “ცილისწამება”, მეშვიდე პრინციპის ბ) პუნქტი.

¹⁸ იხ. მაგალითისთვის, *A. v. the United Kingdom*, 2002 წლის 17 დეკემბერი (საკანონმდებლო ორგანოთა წევრები მაღალი დონის დაცვით უნდა სარგებლობენ იმ განცხადებებისთვის, რასაც ისინი ოფიციალური უფლებამოსილების განხორციელებისას აკეთებენ); *Nikula v. Finland*, 2002 წლის 21 მარტი (სასამართლო წარმოების პროცესში გაკეთებული განცხადებები მაღალი დონის დაცვით უნდა სარგებლობენ); *Bladet Tromso and Stensaas v. Norway*, 1999 წლის 20 მაისი (როგორც მედიას საშეადებებს, ისე სხვებს უნდა შეეძლოთ თვისუფლად გააკეთონ მოხსენება ოფიციალური დასკვნებისა და განცხადებების შესახებ)

3. განცხადება, გაკეთებული სასამართლოში საქმის წარმოების ყველა სტადიაზე საქმის წინაშეარი მოსმენის ჩათვლით საქმის წარმოებაში უმუალოდ მონაწილე პირთა (მოსამართლე, მხარეები, მოწმე, აღვოკატი, ნაფიცი მსაჯელი) მიერ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაკეთებული განცხადება კავშირში არ არის მიმდინარე სასამართლო პროცესთან;
 4. განცხადება, გაკეთებული იმ ორგანოს წინაშე, რომელსაც ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოვლენისა და გამოძიების ოფიციალური უფლებამოსილება გააჩნია;
 5. საკანონმდებლო ორგანოს განკარგულებით გამოქვეყნებული ღოკუმენტი;
 6. ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ამ პრინციპის 1-5 პუნქტებით გათვალისწინებულ მასალებზე;
 7. ობიექტური ინფორმაციის მიწოდება იმ მასალების თაობაზე, რომელთა გავრცელების საფუძველს წარმოადგენს მათი ოფიციალური სტატუსი. მათ მიეკუთვნება საჯარო განხილვის გზით უცხოეთის სასამართლო ან საკანონმდებლო ორგანოს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციის, მიერ გამოცემული ოფიციალური ღოკუმენტაცია.
- 2) განსაზღვრული ტიპის განცხადებებისთვის პირი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, თუკი არ დამტკიცდება, რომ განცხადება გაკეთდა ბოროტი განმრახვით. ეს წესი მოიცავს იმ განცხადებებსაც, რომლებიც გაკეთდა გარკვეული სამართლებრივი, მორალური, სოციალური ინტერესისა თუ მოვალეობის შესრულებისას.

რეკომენდაცია:

- მე-18(6) მუხლმა უნდა გაითვალისწინოს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება იმ განცხადებებისთვის, რომლებიც ბემოთ მოყვანილ კატეგორიებს განეკუთვნება.

3.1.ე. მხოლოდ გარკვეული ტიპის ინფორმაციის გამავრცელებლების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

არსებობს საფრთხე, რომ მე-18(6) მუხლის შესაბამისად ინტერნეტ-პროვაიდერებს შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა, როგორც განცხადების ბრალეულად გამავრცელებლებს, თუკი მათთვის ცნობილი იყო, რომ აღნიშნული განცხადების გამო სასამართლოში დაიწყო დავა. პასუხისმგებლობის დაკისრების საფრთხე მრავალ პროვაიდერს გახდის იძულებულს, განცხადება გასაჩივრებისთანავე მოხსნას ინტერნეტიდან მოუხედავად იმისა, რამდენად ლეგიტიმურია გასაჩივრება. ეს არის კლასიკური მაგალითი გამოხატვის შეზღუდვისა, რაც აშკარად ეწინააღმდეგება აბრის გამოხატვის თავისუფლების პრინციპებს.

ყოველივე ამის საფუძველზე აღიარებულ იქნა ინტერნეტთან დაკავშირებით სპეციალური დაცვის უმრანდველყოფის აუცილებლობა, რაც ასახულია „ცილისწამების“ მე-12 პრინციპში, რომლის თანახმადაც:

თრგანიზაციებს, რომელთა ფუნქციაც გარკვეულ განცხადებებთან მიმართებაში შემოიფარგლება ინტერნეტთან ტექნიკური კავშირით, ინტერნეტში ინფორმაციის გადატანითა და ვებ-გვერდის ან მისი ნაწილის შექმნით, ცილისწამების კანონის საფუძველზე არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ თვითონ გააკეთეს ცილისმჭამებლური განცხადება.

რეკომენდაცია:

- ინტერნეტ-პროვაიდერები და სხვა ორგანიზაციები თუ ინდივიდები, რომლებიც მსგავს ფუნქციებს ახორციელებენ ინტერნეტთან მიმართებაში, უნდა გათავისუფლდნენ ცილისწამებისთვის გათვალიწინებული პასუხისმგებლობისგან მანამ, სანამ ისინი თვითონ არ მიიღებენ გასაჩივრებულ განცხადებას.

3.1.3. დასაბუთებული პუბლიკაციის დაცვა

მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ყველას მიმართ, ვინც ბრალეულია ცილისმწამებლური განცხადებით გამოწვეული ზიანის მიენებაში. როგორც ბეჭოთ იქნა აღნიშნული, ცნება „ბრალეული“ არ არის განსაზღვრული სამოქალაქო კოდექსში. იგი შეიძლება განმარტებული ყოფილიყო როგორც ისეთი განცხადების გავრცელება, რომლის სიმციცარე აშკარა იყო, თუმცა უფრო ფართო ინტერპრეტაციაც არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, პირს შეიძლება იმ შემთხვევაშიც დაკაისროს პასუხისმგებლობა, თუკი მას გაცნობიერებული ჰქონდა თავისი განცხადების ცილისმწამებლური ხასიათი და იმ შემთხვევაშიც, როცა მას ეგონა, რომ განცხადება შეესაბამებოდა სიმართლეს. როცა არსებობს ასეთი ფართო და ბოგადი სტანდარტი, სავსებით შესაძლებელია, რომ მე-18 მუხლის საფუძველზე მედიის ძალიან ბევრი საშუალება გახდეს მოპასუხე ცილისმწამების თაობაზე სასამართლოში საქმის წარმოებისას.

წესი, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მცდარი განცხადების გავრცელებისთვის, თუკი გამავრცელებელმა იცოდა, რომ განცხადება საბიანო იყო პირის რეპუტაციისთვის, განსაკუთრებით უსამართლოა მედიასთან მიმართებაში. მედიის მოვალეობაა, უბრუნველყოს საბოგადოება ინფორმაციით, რის გამოც ხშირად აქვეყნებს ან გადასცემს ინფორმაციას მანამ, სანამ ფაქტის სისწორე საბოლოოდ დატესტდება. ყველაზე გამოცდილი უერნალისტებიც კი უშვებენ შეცდომებს. ყოველი ცრუ განცხადებისათვის მათი დასჯა ფაქტობრივად შეუძლებელს გახდის საბოგადოებისთვის დროული ინფორმაციის მიწოდებას.

იურისდიქციების მჩარდი რაოდენობა მიიჩნევს, რომ „დასაბუთებულობა“, „კეთილსინდისიერება“ და „სათანადო ყურადღების გამოჩენა“ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკმარის საფუძველს წარმოადგენს მაშინ, როცა ტრადიციული წესის თანახმად, მოპასუხეს ეკისრება პასუხისმგებლობა ყველა შემთხვევაში, როცა ის ავრცელებს მცდარ ან ისეთ განცხადებას, რომლის სიზუსტის დამტკიცებასაც ვერ შეძლებს. აღნიშნული თანამედროვე მიღეობა უბრუნველყოფს იმ პირთა დაცვას, რომლებმაც გონივრულ საფუძველზე დაყრდნობით გამოაქვეყნეს საბოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებული განცხადება. აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, მედიისთვის „დასაბუთებულობის“ ტესტის წარმატებით ჩაბარებად ჩაითვლება, თუკი იგი საბოგადოდ მიღებული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოქმედებდა¹⁹. ამგვარი მიღეობა უბრუნველყოფს გაცილებით უკეთეს ბალანსს აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და რეპუტაციის დაცვას შორის.

რეკომენდაცია:

- მე-18 მუხლში გათვალისწინებულ უნდა იქნას დასაბუთებული პუბლიკაციის დაცვა ბეჭოთ აღნიშნული პირობების შესაბამისად.

3.1.8. სანქციები

უსამართლოდ მძიმე სანქციები პერ სე, მე შემთხვევაშიც კი, როცა ისინი ისეთ განცხადებებს შეეხება, რომლებიც ცილისმწამებლურად არის საყოველთაოდ აღიარებული, არღვევს უფლებას ამრის გამოხატვის თავისუფლებაზე. როგორც აღამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლო განცხადა, ცილისმწამებისათვის დაკისრებული სანქცია გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს რეპუტაციისთვის მიყენებულ ზიანთან²⁰. ამ სტანდარტის ცხოვრებაში გატარებისთვის აუცილებელია, რომ სანქციების დაწესების კონკრეტული წესები ცილისმწამების შესახებ ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვროს. ფულადი კომპენსაციის პოტენციურად უარყოფითი ეფექტის მხედველობაში მიღებით პრიორიტეტი ანაბლაურების არამატერიალურ ფორმებს უნდა მიენიჭოს. კანონით უნდა განისაზღვროს არამატერიალური

¹⁹ ი. Bladet Tromso and Stensaas v. Norway. ი. ასევე "ცილისმწამება", მეცხრე პრინციპი.

²⁰ Tolstoy Miloslavsky v. United Kingdom, 1995 წლის 13 ივლისი.

გიანისთვის გადასახდელი კომპენსაციის მაქსიმუმი. ამ მაქსიმუმის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში²¹.

მე-18 მუხლის მე-6 პუნქტში უბრალოდ აღნიშნულია, რომ შესაძლებელია კომპენსაციის დაწესება არამატერიალური ზიანისთვის, რითაც ეს მუხლი ფაქტობრივად ახდენს დიდი თღენობით კომპენსაციის მოთხოვნისა და მისი შესაძლო დაკმაყოფილების წახალისებას²².

მე-18 მუხლში ასევე აღნიშნულია, რომ ზიანის ანაბლაურების მოთხოვნა შეიძლება იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ჩვენი ინფორმაციის თანახმად, ეს წესი მიმდინარე ისახავს, სარგებელი მოუტანოს იმ პირს, რომელსაც უშუალოდ მიადგა ზიანი ცილისმწამებლური განცხადებით. უფრო ფართო დებულების გამოყენება, კერძოდ ზიანის ანაბლაურების დაშვება ყველა სახის მოგებიდან, რომელიც ცილისმწამებლური განცხადების გამოქვეყნების საფუძველზე იქნა მიღებული, შეუსაბამო და ძალგზე პრობლემატური იქნებოდა ამრის გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისად მე-18(6) მუხლში აღნიშნული ეს წესი უფრო დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს.

რეკომენდაცია:

- მე-18 მუხლით მუსტად უნდა განისაზღვროს, რომ გადასახდელი კომპენსაციის თღენობის დადგენა უნდა მოხდეს მიყენებულ ზიანთან მკაცრ შესაბამისობაში.
- ანაბლაურების ფორმის განსაზღვრისას აქცენტი არამატერიალურ ფორმებზე გაკეთდეს და ფულადი კომპენსაციის გამოყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მოხდეს.
- არამატერიალური ზიანისთვის კომპენსაციის მაქსიმუმი კანონით განისაზღვროს, ხოლო ამ მაქსიმუმის გამოყენება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე საქმეებზე მოხდეს.
- კანონით ნათლად განისაზღვროს, რომ ზიანის ანაბლაურების მოთხოვნა იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს, შეეხოს მხოლოდ იმ სარგებელს, რომლის წარმოშობაც პირდაპირ უკავშირდება ცილისმწამებლურ განცხადებას.

3.1.თ. ხანდაზმულობის ვადა

მე-18(6) მუხლი არ აწესებს ვადას, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია გასაჩივრდეს ცილისმწამებლური განცხადება და ეს ხარვეზი არც სამოქალაქო კოდექსშია გამოსწორებული. შესაბამისად, არ არსებობს ცილისმწამებლური განცხადების გასაჩივრებისთვის დადგენილი ბლოკული ვადა.

ცილისმწამებლური განცხადების გავრცელებიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ სასამართლოში საქმის ინიცირების დაშვება მოპასუხეს ფაქტობრივად ართმევს შესაძლებლობას, სათანადოდ დაიცვას თავი პროცესზე. უსამართლოდ გაწელილი საქმეები უარყოფით ბემოქმედებას ახდენს მოპასუხეს ამრის გამოხატვის თავისუფლებაზე, ისევე როგორც მოსარჩელის შესაძლებლობაზე, მიიღოს ზიანის აღევაფური და დროული ანაბლაურება. ცილისწამებაში სარჩელის შეფანის ხანდაზმულობის ვადა გარკვეული გამონაკლისების გარდა განისაზღვრება

²¹ იხ. "ცილისმწამება", მე-15 პრინციპი.

²² მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, კომპენსაცია არამატერიალური ზიანისთვის უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი, მე-18 მუხლში აღნიშნული დებულება არ არის მთლიანად გამიარებული. ჩვენი წყაროების ცნობით, ეს ქმნის საკმაოდ დიდ აღბათობას, რომ მე-18 მუხლის გამოყენება მოხდება 413-ე მუხლის გაუთვალისწინებლად.

ერთი წლით პუბლიკაციის გამოქვეყნების დღიდან. ასეთი მიღებობა აღიარებულ იქნა მრავალი ქვეყნის იურისდიქციაში.²³

რეკომენდაცია:

- აუცილებელია ცილისწამების საქმეზე სასამართლოში სარჩელის შეფანის უფრო შემოკლებული ვადის განსაზღვრა გარკვეული გამონაკლისების გარდა.

3.2 პასუხის გაცემის უფლება

მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი უზრუნველყოფს პასუხის გაცემის უფლებას შემდეგი სახით:

პირს, რომლის პატივისა და დირსების შემდახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის მავრე საშუალებებში.

პასუხის გაცემის უფლება წარმოადგენს ყველაზე საკამათო სფეროს მედია-სამართალში²⁴. სიტყვის თავისუფლების დამცველი ორგანიზაციები, მათ შორის “მე-19 მუხლი”, მიიჩნევს რომ აღნიშნული უფლება უნდა იყოს ნებაყოფლობითი ხასიათისა და არ განისაზღვროს კანონით. პასუხის გაცემის უფლება უნდა განხორციელდეს მხოლოდ გარკვეული პირობების დაცვით, რომლებიც არ არის მითითებული მე-18 მუხლის მე-6 პუნქტში. აღნიშნულ პირობებში იგულისხმება, რომ პასუხის უფლება:

- უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ იმ განცხადების საპასუხოდ, რომელიც არღვევს იმ პირის უფლებას, ვინც ითხოვს პასუხის გაცემას. ამ უფლების გამოყენება არ შეიძლება იმ მოსაზრების კომენტირებისთვის, რომელიც მის მკითხველსა თუ მაყურებელს არ მოეწონა;
- უნდა განხორციელდეს ორიგინალური სტატიისა თუ გადაცემის მსგავს ფორმატში;
- მოცულობით უნდა იყოს ორიგინალური სტატიისა თუ გადაცემის პროპორციული;
- უნდა შეიტანოს მხოლოდ ორიგინალურ ტექსტში მოცემულ არასწორ თუ შეცდომაში შემყვან ფაქტებზე საუბრით;
- თუკი იჯი თვითონ შეიცავს მცდარ ან შეურაცხმყოფელ ლექსიკას, უზრუნველყოფილ უნდა იქნას მისი უარყოფის შესაძლებლობა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც ახალი საკითხებისა თუ სხვა სწორი ფაქტების კომენტირების შესაძლებლობა.

ნათელია, რომ მე-18(6) მუხლი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული სტანდარტების დაცვის შესაძლებლობას. მაგალითად, არ განსაზღვრავს პასუხის მინაარსსა და განაცხადდა მას სამართალის მისი ბოროტად გამოყენების გაცილებით დიდ საფრთხეს შეიცავს, თუკი მას სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული “პირის” მიზანშეუწონლად ფართო დეფინიციასთან მიმართებაში განვიხილავთ. სახელმწიფო ორგანოებს ფაქტობრივად უფლება ენიჭებათ და, რა თქმა უნდა, გამოიყენებენ კიდეც იმ შესაძლებლობას, რომ მოითხოვონ პასუხის უფლება ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ჩათვლიან, რომ მასმედიის კოკრეტული პუბლიკაციით მოხდა მათი ცილისწამება მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როცა განცხადება სამოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხს შეეხება. საერთაშორისო სამართალი არ ანიჭებს

აღნიშნული დებულება მისი ბოროტად გამოყენების გაცილებით დიდ საფრთხეს შეიცავს, თუკი მას სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული “პირის” მიზანშეუწონლად ფართო დეფინიციასთან მიმართებაში განვიხილავთ. სახელმწიფო ორგანოებს ფაქტობრივად უფლება ენიჭებათ და, რა თქმა უნდა, გამოიყენებენ კიდეც იმ შესაძლებლობას, რომ მოითხოვონ პასუხის უფლება ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ჩათვლიან, რომ მასმედიის კოკრეტული პუბლიკაციით მოხდა მათი ცილისწამება მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როცა განცხადება სამოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხს შეეხება. საერთაშორისო სამართალი არ ანიჭებს

²³ იხ. მაგალითისთვის, იურიდიულ მრჩეველთა მოხსენება ცილისწამებაზე ირღანდიაში, გამოქვეყნებული 2003 წლის მარტში. ასევე იხ. “იულისწამება”, ნაწილი მეორე, პრინციპი მეტეთე.

²⁴ აშშ-ში აღნიშნული უფლება არაკონსტიტუირად არის მინერული იმ საფუძვლით, რომ განიხილება როგორც ჩარევა სარედაქტო დამოუკიდებლობაში. იხ. *Miami Herald Publishing Co v. Tornillo*. შედარებისთვის, ევროპაში პასუხის გაცემის უფლება წარმოადგენს ევროპის საბჭოს მინისტროთ კომიტეტის რეზოლუციის თბიექს. რეზოლუცია პასუხის გაცემის უფლებაზე მიღებულ იქნა 1974 წლის 2 ივნისს. იხ. ასევე აღმიანის უფლებათა ინფერ-ამერიკული სასამართლოს საკონსულტაციო ხსიათის დასკრინი, *Enforceability of the Right to Reply or correction*. მრავალ დასავლეთ ევროპულ ქვეყანაში კანონით არის უზრუნველყოფილი პასუხის გაცემის უფლება და აღნიშნული კანონები მნიშვნელოვანწილად ეფექტურია.

სახელმწიფო ორგანოებს პასუხის უფლებას, იგივე წესი უნდა იქნეს გაზიარებული საქართველოშიც.

პასუხის გაცემის უფლება არსებული ფორმით თანამდებობის პირებზეც არ უნდა გავრცელდეს, როგორც მინიმუმ იმ საკითხებთან მიმართებაში მაინც, რომელიც მათ მიერ სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებას უკავშირდება. რადგან თანამდებობის პირებს შესაძლებლობა აქვთ, ბოროტად გამოიყენონ ეს უფლება ყველა შემთხვევაში, როცა მათი საქმიანობა გახდება მასმელის კრიფიკის ობიექტი. შედეგად მედიას შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს თავისი პირდაპირი ფუნქციის განხორციელება. ცილისწამების კანონმდებლობასთან დაკავშირებული ყველაზე მეტი პრობლემა სწორედ ამ სფეროში იჩენს თავს. მაგალითად, მოსარჩევეს არ მოეთხოვება დაამტკიცოს, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია მცდარია, გარდა ამისა, პუბლიკაციის დასაბუთებულობა არ წარმოადგენს პასუხის გაცემის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

რეკომენდაცია:

- პასუხის გაცემის უფლება უფრო დეტალურად უნდა განისაზღვროს და შეიძლებოს გემოთ აღნიშნული პრინციპების გათვალიწინებით. კერძოდ, ამ უფლების გამოყენება მხოლოდ იმ საქმეებით უნდა შემოიფარგლოს, როცა მოსარჩევის კანონიერი უფლება დაირღვა.
- სახელმწიფო ორგანოები არ უნდა სარგებლობდნენ პასუხის გაცემის უფლებით.
- პასუხის უფლების გამოყენების პირობები თანამდებობის პირებისთვის უნდა განისაზღვროს, როგორც მინიმუმ, იმ განცხადებებთან მიმართებაში მაინც, რომლებიც მათ მიერ სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებასთანაა დაკავშირებული. ამ პირობებით თანამდებობის პირებს უნდა დაეკისროთ ვალდებულება, დაამტკიცონ განცხადების სიმცდარე, ასევე უნდა განისაზღვროს, რომ თუკი პუბლიკაცია დასაბუთებულია, მედიას აქვს უფლება, უარი თქვას პასუხის გამოქვეყნებაზე.

3.3 უარყოფის უფლება

მე-18 მუხლი შეიცავს ორ დებულებას, რომლებიც უარყოფის უფლებასთანაა დაკავშირებული. ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:

პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც დახასის მის პატივს, დირსებას, პირადი ცხოვრების საიდემდოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებული არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისთვის, თუკი ამით იღახება პირის პატივი, დირსება ან საქმიანი რეპუტაცია.

ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად:

თუ პატივის, დირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდემდოების შემდახველი ცნობები გავრცელებულია მსობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

აღნიშნული დებულებები მრავალ სერიოზულ პრობლემას წარმოშობს. პირველ ყოვლისა როგორც სახელმწიფო ორგანოებს, ისე თანამდებობის პირებს უფლება ეძლევათ, მოითხოვონ გასახივრებული განცხადების უარყოფა, რომლებიც რაიმე სახით მაინც არის მათთან კავშირში. ამან კი პოტენციურად შეიძლება კატასტროფული შედეგი მოუმზანოს მასმელიას.

მეორე პრობლემა ისაა, რომ, როგორც მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის შემთხვევაში, აქაც აღნიშნული დებულებებით განსაზღვრული მტკიცების ტვირთიც უსამართლო ხასიათს აფარებს.

როგორც ბემოთ აღინიშნა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებული განცხადების გასაჩივრებისას, მისი სიმცდარისა და ცილისმწამებლერი ხასიათის მტკიცების ფირთი უნდა დაეკისროს მოსარჩევეს. კანონის ეს დებულება არსებული ფორმით სერიოზულ საფუძველს ქმნის, რომ მას ბოროტად გამოიყენებენ ის კერძო თუ საჯარო პირები, რომელთა მიზანია, ხელი შეუშალონ ისეთ პუბლიკაციებს, რომლებიც საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებთანაა დაკავშირებული და მედიისა თუ სხვა ორგანიზაციებისა და ინდივიდების ლეგიტიმურ ინტერესს წარმოადგენს. ერთადერთი, რისი გაკეთებაც აღნიშნული მიზნის მისაღწევად არის საჭირო, განცხადების სასამართლოში გასაჩივრებაა. ამ შემთხვევაში მედიის საშუალებას, სხვა ორგანიზაციისა თუ ინდივიდს მკაცრი სასამართლო მოთხოვნების გათვალისწინებით მოუწევს იმის დამტკიცება, რომ გასაჩივრებული განცხადება სიმართლეს შეეფერება. ასე იქნება მაშინაც, როცა პუბლიკაცია საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხს შეეხება და მაშინაც, როცა ბემოთ აღნიშნული პირები განცხადების გამოქვეყნების დროს დიდი სიფრთხილით მოქმედებდნენ. წარმატების შემთხვევაშიც კი მოპასუხებს შესაძლოა მნიშვნელოვანი სასამართლო ხარჯების გადახდა დაეკისროთ. არსებობს საფრთხე, რომ მასმედიის საშუალებები მარტივ გამოსავალს მიანიჭებენ უპირატესობას და ყოველი მოთხოვნის შემთხვევაში გამოაქვეყნებენ განცხადების უარყოფას. ამით ისინი თავიდან აირიდებენ იმ საშიშროებას, რაც ახლავს განცხადების უარყოფის უფლების გამოყენებაზე უარს, რადგან ამგვარი უარის შემთხვევაში მათ შესაძლოა სასამართლოში მოუწიოთ თავიანთი უარის დაცვა დროისა და ფულის ფასად.

მესამე პრობლემა ის არის, რომ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი არ განმარტავს, თუ რას ნიშნავს ტერმინი “ფაქტობრივი მონაცემების არასრული გამოქვეყნება”. ეს ტერმინი შესაძლოა ძალგე ფართოდ იქნეს ინტერპრეტირებული. მაგალითად, მოიცვას არასწორი დასკვნები, რომელებიც ხალხმა შეიძლება გამოიგანოს ისეთი სტატიიდან, რომელიც სინამდვილეს შეესაბამება. ტერმინის ისე განმარტება, რომ მან მოიცვას ნამდვილი ფაქტების არასრული გავრცელება, ჩვენი ამრით, აბსოლუტურად მიუღებელია. დაუშვებელია, რომ მასმედიის საშუალებას ან სხვა ორგანიზაციისა თუ ინდივიდს მოეთხოვოს იმ განცხადების უარყოფა, რომელიც სიმართლეს შეეფერება მიუხედავად იმისა, თუ რა ეფექტს ახდენს იგი სხვათა რეპუტაციაზე. ეჭვგარეშეა, რომ ეს პრობლემა პირდაპირ უკავშირდება პასუხის გაცემის უფლებას.

მეოთხე პრობლემა ისაა, რომ სავარაუდო სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უარყოფის უფლება მოიცვას ყველა სახის პუბლიკაციას, გამოქვეყნებულს ნებისმიერი ორგანიზაციის მიერ. შემბლებული ბიუჯეტის მქონე პატარა ორგანიზაციებზე არ უნდა ვრცელდებოდეს პუბლიკაციის უარყოფის გამოქვეყნების მოთხოვნები. შესაძლოა ასეთი მოთხოვნების წარდგენის შემთხვევაში მაღიან ბევრმა ასეთმა ორგანიზაციამ უბრალოდ აღარ გარისკოს მთავრობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში შემავალი საკითხების კომენტირება.

რეკომენდაცია:

- აღნიშნული დებულებებით უარყოფის უფლების გამოყენება უნდა შემოიფარგლოს მასმედიის მიერ გავრცელებული მხოლოდ იმ ფაქტებით, რომელთა სიმცდარის დამტკიცებასაც მოსარჩევე შეძლებს.

4. კრიმინალური ცილისწამება.

4.1 კრიმინალური ცილისწამების ბუნება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-ე მუხლის თანახმად:

ცილისწამება დაბრალებით ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ორას საათამდე, ანდა გამასწორებული სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.

ჩვენთვის გასაგებია ტერმინი “ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით”, რომელიც გულისხმობს განცხადებას პირის მიერ ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის მტკიცებით. ჩვენი წყაროების ცნობით, აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით ასევე მოქმედებს შემდეგი წესები:

1. მხოლოდ დაბარალებულს აქვს უფლება, ინიცირება გაუკეთოს ცილისწამების საქმეზე სისხლის სამართლებრივ წარმოებას. პროცესურობი საქმეში ერთვება მხოლოდ დაბარალებულის მოთხოვნით.
2. მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებულს, რომელმაც გონივრულ ეჭვს გარეშე უნდა დაამტკიცოს განცხადების ცილიმწამებლური ხასიათი.
3. ცილისწამებლურად ჩაითვლება განცხადება, გაკეთებული დაბარებულისათვის ბიანის მიყენების განმრავით ან ასეთი ბიანის შესაძლებლობის ცოდნით.

148-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის განსაზღვრული სასჯელები:

1. სამოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. ეს ნიშნავს მსჯავრდებულის თავისუფალ ღროს უსასყიდლო შრომას, რომლის სახელიც განსაზღვრავს აღვილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა ოთხი საათია. აქედან გამომდინარე, მაგალითად, თუ პირს დაეკისრება სამოგადოებრივად სასარგებლო შრომის 100 საათი, მას მოუწევს 25 დღის განმავლობაში შეასრულოს ეს ვალდებულება. თუ მსჯავრდებული უარს იტყვის სამოგადოებისთვის სასარგებლო შრომაზე ან ჯუტად თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების შებრულებით, ტუსაღობით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთან დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შებრულების, ტუსაღობის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: სამოგადოებისათვის სასარგებლო შრომის რვა საათი უდრის თავისუფლების შებრულების, ტუსაღობის, თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს.
2. გამასწორებელი სამუშაო. სასჯელის ამ სახის დანიშვნისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფო შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით არანაკლებ ხუთი და არა უმტკეს ოცი პროცენტისა. თუ მსჯავრდებული ჯუტად თავს აარიდებს გამასწორებელ სამუშაოს, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით, ტუსაღობით ან თავისუფლების შებრულებით. ამასთან დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შებრულების, ტუსაღობის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე – თავისუფლების შებრულების ერთი დღე; გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე – ტუსაღობის ერთი დღე; გამასწორებელი სამუშაოს სამი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

4.2 ცილისწამების შესახებ სისხლის სამართლებრივი კანონის მიუღებლობა

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის შესაბამისად “მე-19 მუხლი” იმიარებს იმ მოსამრებას, რომ ცილისწამების სფეროს რეგულირება დაუშვებელია სისხლის სამართლებრივი კანონებით. მისი რეგულირების რეგიმი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სამოქალაქო ან აღმინისტრაციული სამართლებრივი სანქციების, ანდა თვითრეგულირების მექანიზმების გამოყენებით.

სულ უფრო მეტ აღიარებას იძენს პრინციპი, რომლის თანახმადაც ცილისწამების სფეროს სისხლის სამართლებრივი კანონის არსებობა უკვე თავისთავად არღვევს უფლებას აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე. მაგალითად, გაეროს აღმინის უფლებათა კომიტეტმა, რომელიც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონფენციის ცხოვრებაში გაფარების მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს,

მრავალჯერ გამოხატა წესიდი იმ ქვეყნების რეგულარულ მოხსენებებთან დაკავშირებით, სადაც დასაშვებია ცილისწამებისთვის სისხლის სამართლებრივი სასჯელის დაწესება²⁵.

ამრისა და მისი გამოხატვის თავისუფლებაზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა 2000 და 2001 წლების მოხსენებებში მოუწოდა სახელმწიფოებს, რომ ცილისწამების შესახებ სისხლის სამართლებრივი კანონები გაეუქმებინათ სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობის სასარგებლოდ²⁶. ადამიანის უფლებათა კომიტეტი ამრის გამოხატვის თავისუფლებაზე თავის ყოველწლიურ რეზოლუციაში გამოთქვამს შემფოთებას იმის გამო, რომ ხდება ცილისწამების შესახებ სისხლისა და სამოქალაქო სამართლებრივი დებულებების ბოროტად გამოყენება²⁷.

1999 წლიდან მოყოლებული ამრის გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობის სპეციალური მანდატის მქონე სამი საერთაშორისო ორიგანიზაციი – გაეროს სპეციალური მომხსენებელი, ეკუთოს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში და ჰორიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებელი ამრის გამოხატვის თავისუფლებაზე – ყოველწლიურად ერთობლივად გამოსცემს ამრის გამოხატვის თავისუფლების მრავალ ასპექტთან დაკავშირებულ დეკლარაციებს. 1999 და 2000 წლების ნოემბრის და 2002 წლის დეკემბრის ერთობლივ დეკლარაციებში მათ მოუწოდეს სახელმწიფოებს, გაეუქმებინათ ცილისწამების სისხლის სამართლებრივი კანონები. 2002 წლის დეკლარაციის თანახმად:

ცილისწამების სისხლის სამართლებრივი რეგულირება არ წარმოადგენს ამრის გამოხატვის თავისუფლების გამართლებად შებღუდვას; ცილისწამების შესახებ ყველა სისხლის სამართლებრივი კანონი უნდა გაუქმდეს ან, სადაც საჭიროება მოითხოვს, შეიცვალოს სათანადო სამოქალაქო სამართლებრივი კანონებით²⁸.

ცილისწამების სისხლის სამართლებრივი რეგულირების პრინციპული კრიტიკა, გამოთქმული ორგორც ბემოაღნიშნული ორგანოების, ისე სხვა მრავალი ეროვნული სასამართლოს მიერ, გამოიწვევს სისხლის სამართლებრივი კანონების უარყოფით ეფექტს. ეს ეფექტი ასალებულებრივად შეუსაბამოა ნებისმიერ ბიანთან, რაც შეიძლება ცილისწამებამ გამოიწვიოს. აღნიშნული ორგანოების კრიტიკა და მათ მიერ გამოთქმული შემფოთება პირდაპირ უკავშირდება სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლს.

4.3 აღნიშნული პრინციპის გამოყენება 148-ე მუხლთან მიმართებაში

148-ე მუხლის მოქმედების სფერო შედარებით ზუსტად არის განსაზღვრული – იგი აწესებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ მცდარი განცხადებისთვის, რომელიც გაკეთდა სხვისი რეპუტაციისთვის ბიანის მიყენების განმრავით. თუმცადა ამ მუხლით განსაზღვრული სასჯელები ყოვლად შეუსაბამოა შეხედულების მშვიდობიანი გამოხატვისათვის მიუხედავად მისი ბიანის მიმყენებლური ხასიათისა. პირს შესაძლოა დაეკისროს საბოგადოებისათვის სასარგებლო მრომა 25-დან 50 დღემდე, ყოველდღიურად 4 საათის განმავლობაში, რაც ფაქტობრივად მსჯავრდებულს ართმევს შესაძლებლობას, შეასრულოს ჩვეულებრივი სამუშაო. ასევე პირს შესაძლოა დაექვითოს წლიური შემთხვევლის 20 პროცენტი. გარდა ამისა, აღნიშნული მუხლი დისკრეციის უფლებას უზოვებს სასამართლოს, დააწესოს სპეციფიკური სასჯელი. ასევე პრობლემურია ის საკითხი, რომ შესაძლებელია სახელმწიფო ბრალმდებლის ჩართვა ცილისწამების თაობაზე სისხლის სამართლებრივ საქმეში. დაბოლოს, 148-ე მუხლის საფუძველზე ცილისწამებისთვის მსჯავრდებულ პირს შეიძლება დაეკისროს თავისუფლების აღკვეთა, თუ იგი უარს იტყვის სამოგადოებისათვის სასარგებლო ან გამასწორებელი სამუშაოს შესრულებაზე.

²⁵ მაგალითად, ისლანდია და იორდანია (1994), ტუნისი და მაროკო (1995), მავრიკიანია (1996), ერავი (1997), ზიმბაბვე (1998), კამერუნი, მექსიკა, მაროკო, ნორვეგია და რუმინეთი (1999).

²⁶ იხ. გაეროს ოფიციალური დოკუმენტი, *Promotion and protection of the right to freedom of opinion and expression*.

²⁷ იხ. მაგალითად, 2003 წლის 23 აპრილის რეზოლუცია, მე-3 პარაგრაფი.

²⁸ 2002 წლის 10 დეკემბრის ერთობლივი დეკლარაცია.

სახელმწიფო ბრალმდებლის საქმეში ჩართვის შესაძლებლობაც საკმაოდ პრობლემურია. საერთაშორისო სტანდარტებით აღნიშნული საკითხი არ არის ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი, თუმცა მრავალ ქვეყანაში, საღაც ცილისწამება კრიმინალიზებულია, როგორც წესი, პრაქტიკაში სახელმწიფო ბრალმდებლის საქმეში ჩართვას სასურველი შედეგი არ მოაქვს. “ცილისწამების” მე-4 პრინციპის ბ) პუნქტის მე-3 ნაწილის თანახმად:

დაუშვებელია სახელმწიფო ორგანოთა, მათ შორის პოლიციისა და სახელმწიფო ბრალმდებელთა, მხრიდან საქმის ინიცირება სასამართლოში ან დეკნის დაწყება ცილისწამების საქმეებზე მიუხედავად დაბარალებული მხარის სტაციისა მაშინაც კი, თუ ფიურალები თანამდებობის პირია.

რეკომენდაცია:

- ცილისწამების მუხლი მთლიანად უნდა იქნეს ამოღებული სისხლის სამართლის კოდექსიდან.
- ამ მუხლის შენარჩუნების შემთხვევაში მასში შემდეგი შესწორებები უნდა შევიდეს:
 - გამოირიცხოს ცილისწამებისთვის თავისუფლების აღკვეთის ან სხვა მსგავსი მძიმე სასჯელების დაწესების შესაძლებლობა;
 - მკაცრად განისაზღვროს პროპორციულობის მოთხოვნა მიყენებულ მიანსა და დაკისრებულ სასჯელს შორის;
 - ნათლად განისაზღვროს სასჯელების გამოყენების პრინციპები;
 - გამოირიცხოს სახელმწიფო ბრალმდებლის საქმეში ჩართვის შესაძლებლობა.